

ეკონომიკის მონაპოვასია უნდა მონაწილეობდეს

აზრი აქვს მონეტარისტების გამონათქვამს: „ფულს აქვს მნიშვნელობა“, თუმცა არის ზუსტი, რა აზრსაც ავტორები ამაში დებენ, რომ ფულის მიწოდებას სავსებით შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკის სტაბილურობა და მდგრადი განვითარება, რასაც პრაქტიკა არ ადასტურებს. ფული კი თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკაში რამდენადაც მასში ფოკუსირდება ეკონომიკური პროცესების მთელი წრე - ფასების დონე, მომხმარებელთა მყიდველობითი უნარიანობა, ეკონომიკური წრებრუნვა და პროპორციები, მომხმარებლის მასშტაბები, წარმოების რესურსების მოძრაობა, ეკონომიკური ზრდის ტემპები, საბოლოოდ ადამიანთა კეთილდღეობა. ამდენად მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას დიდი გავლენა აქვს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. იგი ეკონომიკური ორგანიზმის ერთგვარი „სისხლის მიმოქცევაა“.

დავანებოთ თავი ცოტა ხანს თეორიულ წიაღსვლებსა და გადავიდეთ პრაქტიკის სფეროში. მომხმარებელი მიდის ბაზარზე და ხარჯავს ფულს, ე.ი. იძენს საქონელს ან მომსახურებას. ამის შედეგად ფული გადაინაცვლებს მიმწოდებელთან (მწარმოებელთან). იგი ამ ფულს იყენებს წარმოების რესურსებში მოსათავსებლად და წარმოების გასაახლებლად, თანაც ამა თუ იმ ზომით გადიდებული ოდენობით, რამდენადაც მოგების გარკვეული ინვესტირება და წარმოების გადიდება მის ინტერესებშია. იგი მოელის ახალად მიწოდებული საქონლისა და მომსახურების რეალიზებას.

მაგრამ თუ მომხმარებელს ცოტა ფული აქვს და მისი საერთო რაოდენობა ქვეყანაში ნაკლებია, ვიდრე საჭიროა მიწოდებული საქონელისა და მომსახურების დროული რეალიზაციისათვის, ამ უკანასკნელთა შესაბამისი ნაწილი გაუსაღებელი ხდება, იგი მიმწოდებლის საწყობშია გაჩერებული. სათანადო ფული ვერ მიდის მწარმოებელთან. წარმოება იზღუდება. ე.ი. ეკონომიკური წრებრუნვა შეფერხებულია, წარმოების სიმძლავრეები არ გამოიყენება სრულად. ამას მოსდევს შესაბამ-

ბიორბი მაღაშხია

სტუ-ს პროფესორი

ის სფეროებისა და რიგ შემთხვევაში მთელი ქვეყნის ეკონომიკის დაქვეითება, არასტაბილურობა, კრიზისი, რაც მძიმე მოვლენაა ქვეყნისათვის. ეს უკანასკნელი კიდურეს შემთხვევაში ხდება, მაგრამ ეკონომიკა ან მისი ესა თუ ის სფერო ფულის ნაკლებობისას ყოველთვის ზიანდება.

ეკონომიკური წრებრუნვის საბოლოო მომენტი მოხმარებაა. თუ იგი შეფერხებულია წარმოებული პროდუქტის გაუსაღებლობის გამო, ლოგიკურია, რომ კვლავ წარმოების მთელი პროცესი, ანუ ეკონომიკის განვითარება სათანადოდ იზღუდება. ეს ადვილი გასაგებია ყველასათვის.

ფულის ნაკლებობა ისევე საზიანოა ეკონომიკისათვის, როგორც ზედმეტობა, როცა ის ინფლაციით, განსაკუთრებით სწრაფი და ჰიპერინფლაციით გამოიხატება.

მაშასადამე, საჭიროა ფულის ოპტიმალური რაოდენობა ეკონომიკაში, როგორც სისხლის სათანადო ოდენობისა ცოცხლ ორგანიზმში.

რა სიტუაცია გვაქვს ამ მხრივ ჩვენს ეკონომიკაში, როგორ მოქმედებს იგი ეკონომიკურ განვითარებაზე და ხალხის კეთილდღეობაზე? მეტად მნიშვნელოვანია ამ საკითხზე სწორი პასუხი გაცეს. მე შევეცდებიმის გარშემო ჩემი მოსაზრება გამოვთქვა, თან მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ ფუნდამენტური საკითხის განხილვაში სპეციალისტებიფართოდ ჩაერთვნენ, რომ საბოლოოდ ჭეშმარიტება დადგინდეს და ამით ქვეყნის სასარგებლო საქმე გაკეთდეს.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჩვენს ბაზარზე დიდ ოდენობითაა ხანგრძლივად ან სრულიად გაუსაღებელი საქონელი. მომხმარებელთა დიდ ნაწილის მოთხოვნილება შეზღუდულია ფულის ნაკლებობის გამო. ისინი მიდიან ბაზარზე იაფი და მცირე რაოდენობის საქონლის შესაძენად. ფული მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს საჭირო რაოდენობით -

ეკონომიკური თეორიის პრობლემები

ბიუროკრატის, ბიზნესისა და სამღვდლოების ელიტას. საქონელი და მომსახურება საერთოდ უფრო მცირე რაოდენობით სალდება, ვიდრე მიწოდებულია ან შეიძლება და მიწოდებულიყო. ამიტომაც ადგილი აქვს წრებრუნვის ზემოთ აღნიშნული პროცესის დაბრკოლებას. ადგილობრივი წარმოების პროდუქტებისა და მომსახურების რეალიზაციის პროცესი სათანადო სიჩქარით არ მიმდინარეობს. უცხოური საქონელი უფრო მეტად არის დაგროვილი გაუსაღებელი სახით. მათშიც მოთავსებული ჩვენი ქვეყნის კაპიტალი „გაყინულია“, რაც უთუოდ საზიანოა.

ჩვენს სავაჭრო ობიექტებში რომ შევალთ, ისინი ზოგჯერ მუხეუმებს მოგვაგონებს, თუმცა უფასოდ დასათვალიერებელს. იქ მომხმარებლები მეტწილად შედიან, გაივლ-გამოივლიან და გამოდიან ხელცარიელები. ამიტომაც დევს იქ საქონლის დიდი მარაგები გაუსაღებლად. არ შევლის ე. წ. „სეილები“ (ფასდაკლებები), თუმცა გარკვეული ამოსუნთქვის საშუალება ხდება ზოგიერთისათვის. მომსახურების სფეროს დაწესებულებები ნაკლები დატვირთვით მუშაობენ მათზე მოთხოვნის ნაკლებობის და არა მოთხოვნილების არ არსებობის გამო, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვისაზე და სხვა, რადგან მოსახლეობას სათანადო რაოდენობის ფული არ გააჩნია.

ზემოთ აღნიშნულიდან ფაქტია, რომ ქვეყანაში ფული ცოტაა, ვიდრე საჭიროა და ეს ხელს უშლის ეკონომიკას და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას. მაშასადამე, საჭიროა ქვეყანაში იყოს მეტი ფული, რომ დაჩქარდეს საქონლისა და მომსახურების გასაღება, წარმოება - მიწოდება, რაც გააჯანსაღებს ეკონომიკას და გააუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობას. მაგრამ საიდან გაჩნდეს ეს ფული? მისი უზომოდ დაბეჭდვა ხომ მიუღებელია, რომ ინფლაციის წყარო არ წარმოიშვას. მაშ, რა უნდა გავაკეთოთ არსებულ სიტუაციაში, ეკონომიკის განვითარების არსებულ პირობებში? შეიძლება თუ არა ფულის რაოდენობის გადიდება, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემები მოიხსნას? ამაზე პასუხი ეკონომისტებმა და ფინანსისტებმა უნდა გასცენ.

საკითხი, ცხადია, ეხება ფულის მიწოდების წყაროებს. საქართველოში ოფიციალური მონაცემებით ე.წ. ფართო ფულის რაოდენობა

2017 წელს შეადგენდა 18415,3 მლნ ლარს, ანუ მშპ 45,1 %-ს. მოსახლეობის შემოსავლები იყო 12192 მლნ ლარი, ერთ მცხოვრებზე 3264 ლარი, ფულადი შემოსავლები - შესაბამისად 11291 მლნ და 3030 ლარი, სამომხმარებლო ხარჯები სულ უდრიდა 10 315 მლნ ლარს, ერთ მცხოვრებზე 2768,4 ლარს, ფულადი ხარჯები იყო შესაბამისად 9403 მლნ და 2526 ლარი. მშპ მიმართ ფულადი შემოსავლები შეადგენს 27,7 %-ს, ფულადი ხარჯები - 23,1 %-ს. საქონელბრუნვის საერთო მოცულობა 32816 მლნ ლარს, ე. ი. მშპ 86,7 %-ს.

წლიური ხელფასის სართო მოცულობა საქართველოში 2017 წელს შეადგენდა მშპ მოცულობასთან 28,2 % -ს. შედარებისათვის აღვნიშნავ, რომ ევროკავშირში ეს სიდიდე უდრიდა 66,1 % -ს, საფრანგეთში - 67,3, გერმანიაში - 63,6, იტალიაში - 63,1, ესპანეთში - 61,1, დიდ ბრიტანეთში - 73,0, აშშ - 63,7 5-ს. საქართველოში პენსია შეადგენდა საშუალო ხელფასის 18,2 %-ს უდრიდა და მშპ სულადობრივი სიდიდის შეადგენს 8,2 %-ს. ნიდერლანდებში საშუალო პენსია უდრის მშპ სულადობრივი სიდიდის 53,3 %-ს საშუალო ხელფასის -80,5 %-ს, შვეციაში - შესაბამისად - 63,1 და 66,0, გერმანიაში - 58,86 და 64,4, ფინეთში - 58,3 და 64,9, აშშ - 35,7 % -ს და 35,7 %-ს და ა. შ.

შეიძლება კიდევ მოვიტანოთ შემდეგი მნიშვნელოვანი მონაცემები.

ფულის ემისიამ საქართველოში შეადგინა 2016 წელს 495,6 მლნ ლარი, 2017 წელს - 309,5 მლნ ლარი. ეს უდრიდა მშპ ნომინალური მატების 26,6 5 და 6,4 %-ს. ეკონომიკის მონეტიზაციის დონემ შეადგინა საქართველოში 41,3 %. არსებული მონაცემების მიხედვით, განვითარებული ქვეყნების დიდი უმრავლესობის მონეტიზაციის დონე 80 %-მდე მშპ მიმართ, განვითარებულ ქვეყნებში საერთოდ - დაახლ 60 %-მდე. შეიძლება აღვნიშნოს ისიც, რომ შრომის მწარმოებლურობისა და შრომის ანაზღაურების დონეებს შორის განსხვავება საქართველოსა და მოწინავე ქვეყნებს შორის დიდია. კერძოდ, შრომის მწარმოებლურობა საქართველოში დაახლოებით 3-4 მცირეა, ხოლო შრომის ანაზღაურება დაახლ 9-10. ბევრი ჩვენი ერთი მუშაკის ხელფასი მოწინავე ქვეყნების ერთი მუშაკის ხელფასზე

შრომის დაახლოებით ერთნაირი მწარმოებლურობის პირობებშიც მკვეთრად მცირებას შეუსაბამობაც საგულისხმოა.

მოტანილი მონაცემების, მათ შორის ქვეყანაში ფულის მიწოდებასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის (გამოცდილების) საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკაში ფული ცოტაა, ეკონომიკის მონეტარიზაციის დონე არ შეესაბამება ეკონომიკის ფუნქციონირების საჭირო პირობებს.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომჩვენს ქვეყანაში ფულის მიწოდება სათანადო არაა ეკონომიკური მექანიზმის გამართულობის თვალსაზრისით. ამის მთავარ მიზეზად წარმოგვიდგენია შრომის ანაზღაურების, საპენსიო უზრუნველყოფის მოუწესრიგებლობა, დოვლათის არასამართლიანი განაწილება მოსახლეობის ფენებს შორის, ფარული ეკონომიკის არსებობა, უმუშევრობის მაღალი დონე, ფულის ემისიის, ფასწარმოქმნის ხარვეზები. ყურადღებას გავამახვილებ შრომის ანაზღაურებაზე და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების სხვა წყაროებზე.

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, შრომის ანაზღაურების დონე მომუშავეთა დიდი ნაწილისათვის უაღრესად მცირეცაა, ზოგჯერ 200- 300 ლარსაც არ აღემატება, რაც ნიშნავს შრომის ექსპლუატაციას დამქირავებელთა მიერ - დაქირავებულთათვის კუთვნილი ანაზღაურების გადაუხდელობას. ამდენად სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოების საშუალებაარ არსებობს. ხელფასის განსაზღვრის არავითარი სწორი მეცნიერულად დასაბუთებულიმეთოდიკა არც კერძო სექტორს და არც სახელმწიფოს არ გაჩნია. იგი დგინდება თვითნებურად, სუბიექტური მოსაზრებების საფუძველზე, მეტწილად ხელფასის მინიმუმის პრინციპით დასაქმებულთა უმრავლესობისათვის.

უაღრესად დაბალია პენსიები, გარდა პრივილეგიური ფენისა, ყველა დანარჩენისათვის ბოლო პერიოდში გახდა 220 ლარი. შევნიშნავ ამის სრულ უსამართლობასაც, როცა არ არსებობს პენსიების დიფერენცირება დამსახურების მიხედვით, რაც აუცილებელია. სრულიად მიღებულია გათანაბრებითი პენსიები. ასეთი რამ იშვიათად თუ გვხვდება რომელიმე ქვეყ-

ანაში, თუნდაც პოსტსოციალისტურში.

აღიშნული გარემოებანი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მათი უსამართლობის შესახებ, ნიშნავს უწესრიგობას ეკონომიკურსა და სოციალურ სფეროებში, უარყოფითად აისახება ფულის რაოდენობაზე ქვეყანაში და იწვევს იმ შედეგებს, რაზეც ზემოთ იყო აღნიშნული.

უცილებელია დაჩქარდეს კანონმდებლობის წესით შრომის მინიმალური ანაზღაურების ოპტიმალური სიდიდის დადგენა, შეიქმნას ინსტრუმენტები დამქირავებელთა მიერ შრომის ექსპლუატაციის აღსაკვეთად. გადაუდებლად უნდა განხორციელდეს ახალი საპენსიო რეფორმა პირველ რიგში მისი დიფერენცირების მომართულებით. სრულიად გაუმართლებელია ქვეყნის სიმდიდრის (დოვლათის) შექმნაში ინდივიდთა შრომითი წვლილი, ბიუჯეტში წლების მანძილზე შენატანები არ აისახებოდეს პენსიის სიდიდეზე. ეს სრული ნონსენსია. ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა აქცევდნენ პროფკავშირები. ამას კი ვერ ვამჩნევთ, რაც სრულიად გაუგებარია.

ფულის სიმცირის ერთ-ერთ მიზეზად წარმოგვიდგება ფასების დაბალი დონე სამომხმარებლო საქონელზე. ჩვენს პირობებში ისინი მატულობს მიწოდების დანახარჯების ზრდის გამო თუ სხვა მიზეზებით მაგრამ ვე ანაზღაურებს წარმოების დანახარჯებსა და ვერ უზრუნველყოფს მოგების მიღებას მცირე და საშუალო მწარმოებლებისათვის. ეს აწვება მცირეშემოსავლიან მოსახლეობასაც.. ამასთან, მისი მცირეშემოსავლიანობისა თუ მომხმარებელთა დაბალი მყიდველობითი უნარიანობის გამო მწარმოებელი ვერ იღებს სათანადო შემოსავალს, რაც ზღუდავს წარმოებას, მისი გაფართოების შესაძლებლობას. გლეხი, ფერმერი ხშირად ვერ იღებს დანახარჯების ტოლდიდ შემოსავალს, ფაქტობრივად ეწვეა თავისივე შრომის ექსპლუატაციას, ვერ იღებს აუცილებელ დანახარჯზე გარდამეტ შემოსავალს საქონლის გაყიდვებიდან. ესეც ამცირებს ფულის რაოდენობას ქვეყანაში, სათანადო გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და ცხოვრების დონეზე. საგრძნობლად დაბალია ჩვენთან სამომხმარებლო ფასები საზღვარგარეთთან შედარებით. ავიღოთ თუნდაც ე.წ. მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედ-

ვით ღარის კურსი. დოლართან 2017 წელს დაახლოებით 1 დოლ უდრიდა (არ ავურიოთ გაცვლით კურსში). თუ შევადარებთ თუნდაც საკვები პროდუქტების ფასებს ევროპასა და ამერიკაში ჩვენს ფასებთან შედარებით აღნიშნული პარიტეტული კურსის მიხედვით ჩვენი ბაზრის ფასები ბევრად მცირე აღმოჩნდება. ფულის მიწოდების რაოდენობის სწორი რეგულირების შემთხვევაში ასეთი რამ არ იქნებოდა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის.

ფულის რაოდენობის მნიშვნელოვანი, ალბათ დაახლოებით ორჯერ, დასაბუთებული გადიდება ზემოთ აღნიშნული ვითარებების გათვალისწინებით (და არა უწესრიგო ემისიის გზით), ეკონომიკის მონეტიზაციის დონის მოწინავე ქვეყნების დონემდე აყვანა თავისი შინაარსით არ გამოიწვევს ინფლაციურ შედეგებს - მომხმარებელთა მოთხოვნის (მყიდველობითი უნარის) შემცირებას, არამედ მის დარეგულირებას, ერთგვარ ზრდასაც წარმოების (დოვლათის მიწოდების) წახალისების შედეგად. ფასები კი ჩვენს პირობებში ისედაც საგრძნობლად იზრდება დანახარჯების გადიდების გამო, განსაკუთრებით კვების პროდუქტებზე - პურზე, რძის, ხორცის ნაწარმზე

და ა.შ. ეს, თავის მხრივ, ზღუდავს მათზე მოთხოვნას და მათ გასაღებას, ხელს უშლის წარმოების გადიდებას.

ისიც გვინდა შევნიშნოთ, რომ გასათვალისწინებელია მცირე დროებითი ინფლაციის, ფულის ზედმეტი მიწოდების დადებითი გავლენაც ეკონომიკაზე. შემდგომ კი ზედმეტი მიწოდება შეიძლება შეიცვალოს წონასწორული მდგომარეობის აღდგენით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მე ვაყენებსაკითხს გათვალისწინებული იქნეს გამოთქმული მოსაზრებები და სხვა აუცილებელი მომენტები, დაუყოვნებლივ გადაიდგას საჭირო ნაბიჯები ქვეყანაში სწორი მონეტარული პოლიტიკის შემუშავების, ფულის მიწოდების, შრომის ანაზღაურების მოწესრიგებისა და ფასების რეგულირების მექანიზმის გამოყენების მიმართულებით, რაშიც ფართოდ უნდა ჩაერთოს მეცნიერებისა და პრაქტიკოსთა ძალები. არ ვგულისხმობ მილტონ ფრიდმენის მონეტარიზმის თეორიის რეალიზაციას. მე მესმის, რომ ამ საკითხზე იქნება აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საკითხის იგნორირება საზიანოა.

The monetization of the economy must be regulated

George Malashkhia
professor of GTU

Summary

A normal level of monetization is a prerequisite for the sustainable functioning of the economy. The analysis shows that for a number of reasons, offering money to the Georgian economy does not meet its needs. There is little money in the country, as a result of which the reproduction process and the growth of the people's well-being are delayed. It is necessary to develop and implement measures to optimize the monetization of the country's economy, increase the money supply without causing inflationary processes. Some of these measures are proposed in this article.